საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რკინის გზაზე 60 კაპ.

№ 376 1918 წ. ოთხშაბათი ნოემბრის 6. № 376

ბოლშევიკების ცნობით ოსმალეთს მიუღია შემდეგი საზავო პირობები: არმიის დემობილიზაცია და ყველა სამხედრო გემების მოკავშირეთათვის გადაცემა.—გერმანულ ავსტრიის დამოუკიდებლობა ცხადდება.—გალიციაში პოლონელთა და უკრაინელების ბრძოლაა.—ვენაში ჯარის კაცთა დროებითი საბჭო შემდგარა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ქრისტე ივანეს ძე ჭავჭანიძე შვილებითურთ მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველისა მეუღლე, მეორეთა დედა და მესამეთა შვილი

ნინო გრიგოლის ასული ჭავჭანიძისა

პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახ. საათზე გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 7-ს დილის 10 საათზე საკუთარის სახლიდან მიხეილის ქუჩა, № 36 ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 3207

მეუღლე ეკატერინე დავითის ასული შვილებით: სოფიო, იოსები და გიორგი და რძლები ანა და მაკრინე ჟივიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა

გიორგი ნიკოლოზის ძე ჟივიძე

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, ნოემბრის 7-ს, დილის 10 საათზე ისმაილოვის შესახვევი № 6, მიასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს ეკლესიაში. 1400

გულდამწვარი [illegible] ასული და შვილი მისი ვალოდია, გიორგი, ივანე, ვიქტორ და ლევან ჯაფარიძენი ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, ნოემბრის 1-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი მეუღლე, მეორესი ძვირფასი მამა და მესამეთა დაუვიწყარი ძმა, გორის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი

ვასილ (ვასო) მიხეილის ძე ჯაფარიძე

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა, 45. დაკრძალვა ოთხშაბათს ნოემბრის 6-ს, დიდუბის ეკლესიის გალავანში. ცხედარს გამოასვენებენ დილის 10 საათზე. 2211

კახელ მემამულეთა საზოგადოება
კახეთის გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადო კრება წევრებისა დანიშნულია ქ. თელავში დეკემბრის 6-ს.

კრების საგანია: 1) განხილვა-დამტკიცება 1917-18 წ. ანგარიშის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები, 2) 1918-19 წლის აღრიცხვა, 3) წევრთა სიის გადასინჯვა, 4) მიმდინარე საკითხები, 5) არჩევნები: საბჭოს ხუთი წევრის, თანახმად ახალი წესდებისა და არჩევა გამგეობის თავმჯდომარისა, ნაცვლად ესტატე პაატაშვილისა, რომელსაც რიგში ვადა უთავდება. 2302

1918—19 წლის საოპერო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. დ. [illegible]

ოთხშაბათს, ნოემბრის 6-ს, **ოპერა**

ქ-ნ ხ. ორდას, ი. შუდეგინას და ა. კანშინის მონაწილეობით

1. **პაიაცები** ოპერა 2 მოქმ. და მუს. ლეონკავალლოსი.

2. **ქორწილი მალაროსიაში** ბალეტს დასდგამს ს. ვაკარეცი.

ანონსი: ხუთშაბათს, ნოემბრის 7 ს, ტ. საბანეევის, ზალიპსკის, ნიკოლსკის და მორიოხოვის მონაწილეობით ლაკმე. პარასკევს, ალეშკოს, ორდას, და კანშინის მონაწილეობით აიდა. დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღია 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე. 1397

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა საყურადღებოდ.

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო ტელეგრაფის შესასწავლად საჭიროანი არიან ახალგაზრდა ჯარის კაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟინერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება ტფილისში სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

381 სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

განცხადება ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ ნოემბრის 10 ს, დილის 12 საათზე დანიშნულია

წევრთა საგანგებო კრება

თანახმად § 29 წესდებისა ეს კრება ჩაითვლება კანონიერად რამდენიც უნდა წევრი დაესწროს.

განსახილველია: მიმდინარე კითხვები, მუდმივ მოსიარულეთ არჩევნები. 1396

ტფილისი, ნოემბრის 6.

კიდევ ზავზე. ევროპა შეტორტმანდა. მისი დღევანდელი მდგომარეობა ძლიერ წააგავს ომის დასაწყისს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მებრძოლ სახელმწიფოთა რაზმები დღითი-დღე თხელდება, დღითი დღე აკლდება განსაკუთრებით გერმანიის კოალიციას რომელიმე წევრი. ეს ზავის, საერთო მშვიდობიანობის მოახლოვებას ნიშნავს. ერთად-ერთი გერმანია-ღა დგას მდევივით მთელი ქვეყნის უდიდეს სახელმწიფოთა წინაშე და მედგრად იბრძვის. ახალგაზდა იმპერიალიზმით გატაცებული, მაგრამ სლავიანური სულ-მოკლეობით დაავადებული ბულგარეთი კოალიციას მოჰშორდა. ბებერი ავსტრია დაინგრა და რამდენსამე დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს. იქ მომხდარ მკვლელობით დაიწყო ეს მსოფლიო ომი და იქვე მომხდარ გრაფ ტისას მკვლელობითვე თავდება. ასე ვფიქრობთ ჩვენ. მაგრამ ამ ბოლო დროს მოსული ცნობების მიხედვით ეჭვი გვებადება: მართლა ჰსურთ მოკავშირეებს ისეთი ზავი, რომელზედაც ხშირად გაიძახოდნენ, თუ სხვა მიზნები აქვთ და ჰსურთ მოწინააღმდეგეთა სრული განადგურება?

ჯერ კიდევ სექტემბრის ოთხს, როდესაც ზავზე ლაპარაკის მოახლოვებას ბევრი გრძნობდა—კლემანსომ წარმოსთქვა საფრანგეთის სენატში სიტყვა, რომელიც პლაკატის გადაწყვეტილებით დაბეჭდეს და ყველგან გააკრეს. კლემანსო აქ ძველებურად ლაპარაკობდა სამართლიანობასა და მშვიდობიანობაზე, რომლის დაცვა თავს უდვიათ მოკავშირე იმპერიალისტებს. აქ ბევრი სიტყვაა, მაგრამ არც ერთი კონკრეტი წინადადება. ომი ბოლომდის, აი, რა აზრი იყო კლემანსოს სიტყვაში. ბოლომდის, ე. ი. გერმანიის მოსასპობად. სხვა რა აზრი უნდა იყოს კლემანსოს შემდეგ დეკლარატიულ განცხადებაში: რა გვსურს ჩვენ? განვაგრძოთ ძლევა მოსილი ბრძოლა იმ წუთამდე, როდესაც მტერი შეიგნებს, რომ არ შეიძლება რაიმე მოლაპარაკება იყოს სამართლიანობასა და დანაშაულობის შორისო.

ყველაზე მეტად სასარგებლო ზავისათვის ვილსონის პირობები გამოდგა. მაგრამ ვილსონმა ეს პირობები, რომელიც გერმანიამ სავსებით მიიღო—ეხლა როდი შეუმუშავებია. მან ხსენებული პროგრამა წამოაყენა სხვა პოლიტიკურ და სტრატეგიულ მდგომარეობის დროს და ეხლა უფრო მეტს მოითხოვს. ამ მხრით ყურადსაღებია ის უკანასკნელი სიტყვა, ვილსონს რომ წარმოუთქვამს სამხედრო სესხის გამო. იგი ეხება მრავალ საკითხს და შემდეგს ლამაზს ფრაზებს ამბობს: ამერიკა იბრძოლებს იქამდე, ვიდრე უზრუნველყოფილი არ იქნება ყველა მცირე ერთა თავისუფლება. ბელგია, სერბია, მთაშავეთი და რუსეთი უნდა აღსდგნენ და ზარალი აენაზღაუროთ. ბოლოს კი უფრო კატეგორიულად დასძენს: ამერიკამ ევროპა უნდა დააყენოს სამართლიანობის გზაზე (?) და შექმნას ისეთი პირობები, რომ შეუძლებელი გახდეს მილიტარიზმის თარეში. ამ მიზანს კი მხოლოდ მაშინ მოვეწევით, როდესაც გერმანია და მისი უბედური მოკავშირენი დაიღუპებიან პრუსიის მილიტარიზმის ნანგრევებს ქვეშაო.

მაგრამ ჰამის დროს მოდისო—აქ სრულიად მართლდება. სადღაა ძველი ლათაიები ყველასათვის მისაღებ და სახელო ზავზე! ამ განკითხვის დღეს იმპერიალისტების მგლური კბილი და შავი გული სააშკარაოზე გამოვიდა. ვიდრე გერმანია და მისი მოკავშირენი არ დაიღუპებიანო... მაშასადამე კიდევ სისხლის ღვრა, კიდევ ძმათა შორის ომი და იმპერიალისტების ჯოჯოხეთური ხარხარი...

მაგრამ ყველაზე საგულისხმოა ის პირობები, რომელიც საფრანგეთსა და ინგლისს შეუმუშავებიათ ამ დღეებში ზავისათვის. ჩვენ ამ პირობების შესახებ დანამდვილებითი ცნობები არა გვაქვს გარდა მოსკოვიდან მოსულისა. მაგრამ ეს ცნობებიც ნათლად მოწმობს, რომ საფრანგეთს და ინგლისს, ეტყობათ, ჯერ არა ჰსურთ ომის გათავება და გერმანიის მოსპობას ჰლამობენ. ამას წინად ბალფური და ლლოიდ ჯორჯი პარიზს ჩავიდნენ და მოკავშირეებს შეუმუშავებიათ დროებითი ზავის შემდეგი პირობები: გერმანიამ დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს ჯარი ელზას ლოტარინგიიდან. ფრანგები დაიჭერენ მეცს და სტრასბურგს. გერმანიამ თავისი სამხედრო ფლოტი მოკავშირეებს უნდა გადასცეს. ინგლისელები იჭერენ კუნძულ ჰელჰოლანდს, ამერიკელები რეინის ხიდებს, ხოლო ესსენის სამხედრო ქარხნები მოკავშირეთა კონტროლს უნდა დაექვემდებაროს...

ეს პირობები უდრის გერმანიის სრულ კაპიტულაციას. შეიძლება შემდეგში მართლაც ასე მოხდეს, მაგრამ გერმანია, რასაკვირველია, ვერ დათანხმდება ზემოხსენებულ პირობებს, რომელიც მის განადგურებას და დამოუკიდებლობის შეზღუდვასაც კი ჰნიშნავს. მაშასადამე ბრძოლა სიკვდილ სიცოცხლისათვის, ბრძოლა არსებობისათვის და გაჭიანურება. კაცობრიობის კვნესა-წუხილისა, აი, რა პერსპექტივა ეშლება ევროპას, ვინაიდან გერმანიის განადგურება არც ისე ადვილია, მთავრობები სისხლის მორევში სცურავენ და არ ჰსურთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. სიტყვა ეკუთვნის ერებს. ზოგგან ეს სიტყვა უკვე ითქვა, განსაკუთრებით გერმანიის კოალიციის მხრით. ჯერი მოკავშირეების დემოკრატიზებაა. ყოველ შემთხვევაში მოახლოებული ზავი დღეების საქმე აღარაა, შეიძლება მან თვეებიც გვალოდინოს და ეს ძლიერ სამწუხაროა განსაკუთრებით პატარა საქართველოსათვის.

მაგრამ შეიძლება იმპერიალისტების ეს ახალი გამოსვლა მანიოვრი იყოს და ისინი ტალეირანის ანდერძს მისდევდნენ: ენა მისთვის გვაქვს, რომ ჩვენი განზრახვანი დავმალოთო? ეს მართლაც შესაძლებელია, რადგან არ შეიძლება იმპერიალისტებმაც ბოლოს და ბოლოს არ ისმინონ კვნესა ვედრება საფრანგეთის და ინგლისის ხალხისა—ზავი, პური, თავისუფლება და მშვიდობიანობაო. ზავის საქმე შეიძლება გაჭიანურდეს, მაგრამ იგი მაინც ახლოა...

ბაქოს გარშემო

აღსაშფოთებელი და შემაძრწუნებელი ამბები დატრიალდა ბაქოს გარშემო ამ რევა თვის განმავლობაში: ორი მეზობელი ერი ერთმანეთს დაერია და ერთმანეთს ეჯიბრება. ორივე მხრით ათასობით სწყდება ყოველი პოლიტიკის გარეშე მდგომი დღიურ საზრდოს ზრუნვაში ილაჯ გაწყვეტილი სრულებით უდანაშაულო მუშა ხალხი, ქალები და, ყველაზე აღსაშფოთებელია უმწეო ბავშვები. იშვიათია ისეთი გულქვა ადამიანი, რომელიც ყოველივე ამას გულგრილად უყურებდეს და ეს სულისამღვრევი ამბები მასში შესაფერ რეაქციას არ იწვევდეს. ყოველი შეგნებული და კეთილშობილი მოქალაქის მოვალეობაა ამ ორ ერის შორის მშვიდობიანობის დამყარებას ხელი შეუწყოს. ხოლო დიდი სიფრთხილე და მიუდგომლობაა საჭირო რომ ერთ-ერთ მხარის განცდილ უბედურებათაგან დაიარავებულ გულს ახალი ტკივილი არ მიაყენო და შურისძიების გრძნობა არ გაუცხოველო.

ამიერკავკასიის გულწრფელი ხალხის მოამაგენი და ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარების მოსურნენი სამართლიანად სწუხან. რომ ჩვენი მეზობლების—მუსულმანების ფართე მასა შეგნების დაბალ საფეხურზე სდგას, რითაც აღალრები და ბეგები მოხერხებულად სარგებლობენ, მაგრამ ისეთი ცალმხრივი, სინამდვილესთან დაშორებული და აშკარა მიკერძოებული ცნობები, რომელსაც ბაქოდან ლტოლვილი ბ-ნი აიოლო საზოგადოებას აწვდის, ცხადია მუსულმანების გამოფხიზლებას კიდევ უფრო აფერხებს და აღალარების თავისუფალ ფარფაშს, სადემაგოგიო მასალის მიწოდებით ასაზრდოებს და ახანგრძლივებს.

ვინც მარტის ამბებს ბაქოში დაესწრო მიუდგომელი და ობიექტიური მსჯელობის უნარი არ დაჰკარგვია და ან სხვა რაიმე მოსაზრებით არ ხელმძღვანელობს, იმაში, უეჭველია, განცვიფრებას გამოიწვევს იმის მტკიცება, რომ მაშინ სომხები ნეიტრალიტეტს იცავდენ და ბოლშევიკების გამოსვლაში სომხების უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია. მაშინ როდესაც მთელი სომხობა მცირედის გამოკლებით ბრძოლის ჟინმა შეიპყრო და ყველა მუსულმანს დაუნდობლად ჟლეტდა და მათ ქონებას იტაცებდენ რისთვის დახურეს მენშევიკების რუსული გაზეთი, რომელსაც, მგონი, ბ-ნი აიოლოც ხელმძღვანელობდა? მხოლოდ იმისთვის, რომ გაბედა და სთქვა—მომხდარი ამბები სამოქალაქო ომი კი არა, ნაციონალური ბრძოლა იყოვო.

მარტის ამბების რამოდენიმე თვის შემდეგ ოსმალებმა ბაქო აიღეს და იქ საშინელება დაატრიალეს. მუსულმანებმა შური იძიეს და სომხებს სამაგიერო გადაუხადეს.

უაღრესად ამაშფოთებელი, დასაგმობი და გასაკიცხია ეს მოვლენა და აკი ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ და მუშათა ყრილობამ დაჰგმო იგი. ხოლო ამგვარადვე და, შეიძლება კიდევ უფრო მეტადაც, დასაგმობი იყო ბაქოში მოწყობილი მუსულმანთა დარბევა, რომლის შესახებაც თავის დროზე თუ არ ვცდები, ისეთი დადგენილებანი არ გამოუტანიათ და როდესაც ჩვენ ერთ მოვლენას ვგმობთ და ანალოგიური მოვლენას კი უყურადღებოდ ვტოვებთ, ამით, ცხადია, შეურაცხყოფას ვაყენებთ მეორე მხარეს და ეს მეზობელ ერთაშორის მშვიდობიანობის დამყარებას ხელს ვერ შეუწყობს, პირიქით უკმაყოფილებისა და შურისძიების გრძნობას გააღრმავებს.

ჩვენ ყოველთვის ჭეშმარიტება უნდა გვაინტერესებდეს დ ყოველ მოვლენას სინამდვილით უნდა ვამჟღავნებდეთ; ანალოგიური მოვლენები ანალოგიურ დაფასებას და დამოკიდებულებას უნდა იწვევდეს ჩვენის მხრით. ეს უმთავრესად და უპირველესად თვით საქმისთვის არის საჭირო და სასარგებლო, თორემ ერთის დანაშაულის აღიარება და მეორეს მსგავსი მოქმედების ხელის დაფარება და მოვლენების ბ-ნ აიოლოსებური ტენდენციონური გაშუქება მშვიდობიანობისა და კეთილმეზობლობის ვერაფერი თავდები იქნება.

მ. კაკაბაძე.

ომის დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი. 4—11. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. გენტის ჩრდილოეთით ჩვენი ახალი პოზიციების წინ სადარაჯოების ბრძოლა იყო. აქ არსთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის განაპირას, დასავლეთის მხრით მტერთან ბრძოლა გვაქვს. ვალონსიენის აღმოსავლეთით ფრონტი რამოდენიმედ უკან დავსწიეთ. საღამოთი მტერი ონნესა-ქენსიენსა და ვალლენსოლთან იყო. ლეკენსუას და ლანდრესის ორივე მხარეზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ლანდრესის დასავლეთით კონტრ იერიშით მტრის განახლებული იერიშები შევაჩერეთ.

გერმანიის კრონპრინცის და ჰალგაცის არმიები. უაზის და ენის შუა საღამოთი საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა, ხოლო გონონთან და გიზის ჩრდილოეთით კი მძაფრი ხასიათი მიიღო, რადგანაც მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მაასის დასავლეთით, რამ თენიმედ უკან დავიხიეთ, რასაც კავშირი აქვს აღმოსავლეთით. გუშინ ჩვენ უკან დახევასთან. ლეშესნის სამხრეთით და ვეკრიელთან მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა სომმათო ბელვალს შუა ამერიკელების საიერიშოდ წამოსული ჯარი ბელვილის ჩრდილოეთით ტყეში შევაჩერეთ. მაასის აღმოსავლეთის მხარეზე მტრის შემოტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაასის და მოზელის შუა მტერს იერიში მოაქვს. მოზელის დასავლეთით ჩვენ დავსტოვეთ ხრელევის ის პატარა ნაწილებიც, რომლებიც უკანასკნელ ბრძოლის დროს ჩვენ ხელში იყო დარჩენილი.

ბერლინი, 4—11. საღამოს სამხედრო ცნობა. უაზის და შელდის შუა ბრძოლაა. 60 კილომ. ფრონტზე ინგლისელების და ფრანგების განახლებული ცდა გაერღვიათ ფრონტი უნაყოფოდ ჩატარდა. ლე-კესნუასა და ანდრეს შუა მოტალი იერიში ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერა. დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიშები ჩვენმა მოწინავე ძალამ შეაჩერა. მაასის დასავლეთით, დვიელეცკის ტყეში ბრძოლა გრძელდება.

ავსტრია-ჰუნგრეთში

ვენა. 2—11. მუზეუმისაგან შესდგა წმიდელი გვარდია. სტუდენტობა და ოფიცრობა ადგენს თეთრ გვარდიას. კროატიის მთავრობამ ყოველივე დამოკიდებულება შესწყვიტა ბუდაპეშტთან.

გერმანული პრესა. 3—11. გერმანულ ავსტრიის სახელმწიფო საბჭომ ვენაში ავსტრიის გერმანელებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანულ ავსტრიისთვის შემუშავებულია დროებითი კონსტიტუცია და არჩეულია სახელმწიფო საბჭო, რომელიც ახლა გერმანულ ავსტრიის მმართველობას თავის ხელში ღებულობს. სახელმწიფო საბჭო დაუყოვნებლივ ნიშნავს გერმანულ ავსტრიის მერვულ მთავრობას, რომელიც საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს მოსავალში, გერმანულ ავსტრიის მართვა-გამგეობას მოვალეობად მიიღებს და გერმანულ ავსტრიის ჯარის მთავარ-სარდლობას გასწევს გერმანულ ავსტრიის მთავრობა გერმანულ ოლქებში სრულ მფარველობას გაუწევს ეროვნულ უმცირესობებს და იმედს გამოსთქვამს, რომ სხვა ეროვნებათა მთავრობებიც ასევე გაუწევენ მფარველობას გერმანელთა უმცირესობას სლავიანურ ოლქებში. საბჭომ მოუწოდა ავსტრიის გერმანელებს სიმშვიდე დაიცვან, თვით დისციპლინა განავითარონ და მოერიდონ ყველა იმას, რაც ხელს შეუშლის გერმანულ ავსტრიაში ძალა-უფლების გადაცემას და ზავის ჩამოგდებას, რომელიც უნდა შეკრას გერმანულმა სახალხო მთავრობამ გერმანიის იმპერიის თანხმობით.

ვენაში შესდგა ჯარის კაცთა დეპუტატების დროებითი საბჭო.

გუშინ დაიწყო მოლაპარაკება გერმანულ ავსტრიულ არმიის შესახებ.

აღმოსავლეთ გალიციაში პოლონელთა და უკრაინელთა შორის ბრძოლის შესახებ ვარშავის გაზეთები იტყობინებიან, რომ ნოემბრის 1 ღამე ქალაქი ლემბერგი გერმანულ ავსტრიულ და უკრაინულ ეროვნებათა პოლკებმა აიღეს. რადგანაც ქალაქის წყობრივ ევაკუაცია უკვე დაწყობილი იყო, მეციხოვნე ჯარის წინააღმდეგობა შეუძლებელი დარჩა. გენერალ კუბალსკის ჯარზე იერიში მიიტანეს მდ. სანის მეორე ნაპირიდან წინეთ ზარანიკაზე მდგარმა ჯარებმა. გონვენებთან ერთი პოლკი გენერალ პუბალსკის გადაუდგა. პერემიშლზე შემოტევას პუბალსკი მთელი დღე იგერიებდა, იგი ყოფილ ლეგიონერებს და სტუდენტთა ჯგუფებს სათავეში ედგა. რკინის გზის ხიდი მდ. სანზე აფეთქებულია. პერემიშლი რუსინების ხელშია. „გოდინა-პოლსკას“ ცნობით ავსტრიის განსაკუთრებული არმია გენ. ბაუსკის ხელმძღვანელობით, სადაც ერცჰერცოგი ვილჰელმიც იმყოფება რავარუსკაზე და ზამოკზე შეტევას განაგრძობენ.

საქსონიის სეიმის მეორე პალატამ 75 ხმით სამი დამოუკიდებელ ს. დ. წინა აღმდეგ მიიღო პარლამენტის მთავრობის კანონ-პროექტი. მინისტრებათ დაინიშნენ სოც. ფრესდორფი, სეიმის წევრი ხელდი, სახალხო პარტიის წევრი გენტერი და ეროვნულ ლიბერალი ნიცკე.

ზავის გარშემო

ბოლშევიკების ცნობა.

ოსმალეებმა მიიღეს დროებითი ზავის პირობები: არმიის დაუყონებლივი სრული დემობილიზაცია, ყველა სამხედრო გემების მოკავშირებისათვის გადაცემა.

ახალი ამბავი

◆ **ბაქო.** ზოგიერთ ცნობების მიხედვით, ბაქოში ჩასულან ბიჩერახოვის პარლამენტიორები. ქალაქის დასათვალიერებლად. როგორც ამბობენ, გერმანიის მისია ბაქოდან წამოსულა, რადგან შესაძლებლად მიუჩნევია ბიჩერახოვისა და ინგლისელების ბაქოზე გამოლაშქრება.

◆ **დელეგაციის წევრები** სტამბოლიდან ტფილისში ჩამოიარეს ადერბეიჯანის და მთიულების ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაციის წევრებმა რასულ-ზადეს და კანტემიროვის მეთაურობით.

◆ **ძველი საქმეები** ადერბეიჯანის წარმომადგენელმა მ ჯაფაროვმა დაავალა მ. შერიფოვს, რომ მან ჩაიბაროს ყოფილ მეფის მოადგილის კანცელარიის არქივიდან ყველა სასულიერო, საგანათლებო და სხვა ძველი საქმეები, რაც მუსულმანობას შეეხება და ეკუთვნის.

◆ **ფრანგული კლუბი.** მასწავლებელ დიუდანის თაოსნობით სამუსიკო ინსტიტუტის ბინაზე იხსნება ახალი ფრანგული კლუბი მოსწავლეთათვის. ამ კლუბში ასწავლიან; ცეკვას, მუსიკას, ფრანგულ ენას და სხვა საგნებს.

◆ **„საქართველოს რესპუბლიკა“.** საქართველოს მთავრობის ოფიციალური ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“ ამიერიდან მთავრობის დადგენილებით შემოკლებული ფორმატით გამოვა.

◆ **რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების** ბინა მოთავსებულია გრიბოედოვის ქ. № 19 კანტროლის სადგომი, ყოველგვარ საქმის გამო შეიძლება მიმართოთ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს გიორგი ჯაფარიძეს ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 10—12 საათამდე.

◆ **გ მ. ჯაფარიძის გარდაცვალების გამო**, მისმა ამხანაგებმა—სახალხო სკოლების ინსპექტორებმა დაადგინეს:

1. დეპეშით აცნობონ ეს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილებებს.

2. შესწირონ 300 მანეთი იმ სოფლის სკოლას, სადაც დაიბადა ჯაფარიძე, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დასაარსებლად.

3. მთელი შემადგენლობით დაესწრნენ ძვირფასი ამხანაგის დაკრძალვას და წარმოთქმულ იქმნას სიტყვა.

◆ **ალ. მაისურაძის ქართული გუნდი** ამ მოკლე ხანში ტფილისში გამართავს ლ. ჯანდიერის მონაწილეობით ქართულ სახალხო კონცერტებს.

◆ **შემოწირულება.** ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ შემოვიდა 500 მ. დ. ე. და მ. ა. მუხრანსკებისაგან მათი ასულის ირინეს ხსოვნის აღსანიშნავად და 100 მ. ნ. ე. ქობულაშვილისგან თავის შვილიშვილი ირინეს ხსოვნის აღსანიშნავად. სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

◆ **გაძარცვა.** ნოემბრის 4-ს, ღამით გრიბოედოვის ქუჩაზე, ეთარიანის საცეკვაო სკოლაში, მეცადინეობის დროს, შევიდა რამოდენიმე შეიარაღებული პირი და სკოლის კარიდორში რევოლვერის სროლის შემდეგ გაიტაცეს მოწაფეთა პალტოები და ზედა-სამოსი.

◆ **თავდასხმა.** ნოემბრის 4-ს, საღამოს 6 საათზე, იზმაილოვის ქუჩაზე ცირკის პატრონ ესიკოვსკის ბინაზე შეცვივდნენ ბოროტგანმზრახველნი და გაძარცვა მოუნდომეს ეს ამბავი ესიკოვსკის ბინიდან აცნობეს პირველი უბნის სამილიციო კომისარიატში საიდანაც სასწრაფოდ მოვიდნენ მილიციონერები და თავდამსხმელნი შეიპყრეს.

◆ **მასწავლებლის ადგილი.** გორის საოსტატო სემინარიაში თავისუფალია მათემატიკის მასწავლებლის ადგილი. ჯამაგირი იგივეა, რაც გიმნაზიებში. ამის გარდა მიეცემა სამი ოთახი ბინა სემინარიის ბაღში თავისი მოწყობილობით.

◆ **ოდესიდან ჩამოვიდა.** ადგილობრივ ქართველთა საზოგადოების მიერ გამოგზავნილი საგანგებო შიკრიკი გრ. დალაქიშვილი სხვა და სხვა დავალებით და უკანვე ადესაში გაბრუნდება კიევით ნოემბრის 9 ს. ვისაც რაიმე დავალება აქვს, ან წერილი გასაგზავნი კიევსა და ადესაში, გრ. დალაქიშვილის ნახვა შეუძლიათ „სახალხო საქმის“ რედაქციაში ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე.

◆ **სამხედრო ფორმა.** სამხედრო მინისტრის ბრძანებით ყველა ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილ სამსახურში არ ირიცხებიან, ნება არა აქვთ სამხედრო ფორმის ტარებისა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს ბრძანება არ ეხება უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ მისიის წევრებს და საქართველოს ლაშქარში ჩარიცხულ გერმანელ ჯარის კაცებს. ვინც კი ნამდვილ სამსახურშია და ფორმის ტარების ნება აქვს, თან უნდა ჰქონდეს მოწმობა, გარნიზონის უფროსებს ევალებათ სასტიკი ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანების შესრულებას.

◆ **გაფიცვა** ნოემბრის 4-ს შესდგა კრება, ხარჯის ამკრებ-ინსპექციის, ხაზინის და სახაზინო პალატის მოსამსახურეებისა, რომელთაც დაადგინეს მთავრობას წარუდგინონ მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ და ვიდრე მათ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდნენ, გაფიცვა გამოაცხადონ.

◆ **სასტუმრო „ნოე“ს გაძარცვა.** ნოემბრის 4-ს დილით მიხეილის ქუჩაზე სასტუმრო „ნოე“-ს თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტ განმზრახველნი და გაძარცვეს მდგმურები, რომელთაც რამდენიმე ოცეული ათასი მან. ფულად და სხვა ძვირფასი ნივთები წაართვეს. მძარცველნი მტკვარზე ბორნით გავიდნენ და ვერისაკენ გაიქცნენ. მაგრამ პირველი უბნის მილიციონერებმა ისინი დაატუსაღეს.

◆ **დაჭრა** ნოემბრის 4 სერგიევის ქუჩაზე სროლის დროს დასჭრეს ცნობილ მილიონერ არამიანცის შვილი არამი.

◆ **დევნილი სომხები.** სომხების წარმომადგენელმა თურქიაში ფოთიდან ტფილისში ჯამალიანს დეპეშით შეატყობინა: ამ ბოლო დროს ძლიერ ბევრი დევნილი მიდიან რუსეთისაკენ და ვინაიდან გემები არ არის და წასვლა გაძნელებულია, სომხები დიდ გაჭირვებას განიცდიან. თურქიანი სთხოვს ჯამალიანს, ზომები მიიღეთ რომ სომხები ფოთისკენ აღარ წამოვიდნენო.

◆ **შაქარი.** ცენტრალურმა სასურსათო კომიტეტმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, რომ ტფილისის მცხოვრებთ ოქტომბრისა და ნოემბრის შაქარი ერთად მიეცეს. გამგეობამ ეს შეუძლებლად სცნო.

სოფლად და ქალაქად.

ოზურგეთი.

ქალაქის თავი მურვანიძე სთხოვს გზ. მინისტრს დაეთმოს მას ორი ცისტერნი ნავთი და 200 ფუთი ბენზინი ქალაქის საჭიროებისათვის.

თელავი.

◆ თელავში და მაზრაში ძრიელ გავრცელებულია მგრდ წოდებული „ისპანკა“. თელავში იშვიათი ოჯახი იქნება რომ ავადმყოფი არ იწვეს, ეს მოარული ძრიელ ადვილად გადადის ფილტვების ანთებაზე და ამიტომ არის რომ ხშირად წუთი სოფელს ასალმებს ავადმყოფს. ამ ბოლო დღეებში ყოველ დღე რამდენიმე მიცვალებულს ასაფლავებენ. მიუხედავად იმისა რომ თელავში რვა თუ მეტი ექიმია, ავადმყოფების ნახვას ვეღარ ასწრობენ, ხოლო აფთიაქებში ერთი დღე-ღამე სჭირდებათ ლოდინი წამლის მიღებისათვის.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

შ. ნუცუბიძის მოხსენება ნაძალადევში.

პარასკევს, ნოემბრის 2-ს ნაძალადევის სოც.-ფედერ. ორგ. პარტიულ ბიუროში ამხ. შალვა ნუცუბიძემ წაიკითხა მოხსენება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა ჩვენი პარტიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი და დაწვრილებით, ანალიზით ნათელჰყო რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში საქართველოს დარჩენის შეუძლებლობა. მან აღნიშნა აგრეთვე რომ ევროპა და ამერიკაში წამოყენებული ლოზუნგი ხალხთა ლიგისა ფედერაციის საკითხს უფრო ფართე ასპარეზს აძლევს ვიდრე ამ მოკლე დროში ეს მოსალოდნელი იყო; ხალხთა ლიგის საკითხი ჩვენი პარტიის პოლიტიკურ წინასწარმეტყველობას ადასტურებს და ეხლანდელი ჩვენი მოქმედება მიმართულია არა რუსეთის ფედერაციისკენ არამედ ყველა თავისუფალ ერთა შეკავშირებისაკენ, რაც მცირე ეროვნებათა ჩაგვრას და იმპერიალიზმს ბოლოს მოუღებსო. მოხსენება ფართე ხასიათისა და ძლიერ ცოცხალი შინაარსისა იყო რითაც დამსწრენი მეტის მეტად ნასიამოვნები დარჩნენ.

—

კრება კუკიაში. ხუთშაბათს, ნოემბრის 7-ს სასულიერო სასწავლებლის შენობაში მოხდება ჩვეულებრივი კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ უეჭველად დაესწრონ. მოხსენების შემდეგ არჩევნები მოხდება საუბნო კომიტეტისა.

—

იოსებ ბარათაშვილის მოხსენება პარტიულ ბიუროში. დღეს, ოთხშაბათს, ნოემბრის 6 სოც.-ფედერალისტთა სარ-პარტ. კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი საოთხშაბათო კრება. პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი და ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ამხ. იოსებ ბარათაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „პარლამენტი და საქართველოს სახელმწიფო“. მოხსენება იმდენად სერიოზულ საკითხს ეხება, რომ სასურველია რაც შეიძლება მეტი ამხანაგი დაესწროს. მოხსენების შემდეგ გაიმართება ფართე ხასიათის კამათი. დასაწყისი სწორედ 7½ საათზე.

—

საქ. სოც.-ფედ. ს. პარტიის ფოთის კომიტეტი თავის პარტიულ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ ამით აცხადებს, რომ 1918 წ. პირველი ოქტომბრიდან წევრებზე ყველა დღემდის გაცემული საწევრო ბარათები გაბათილებულია, ხოლო ახალ საწევრო ბარათების მისაღებად კი (თანახმად პარტიულ ორგანიზაციის ახალი წესისა) გამოცხადდნენ ადგილობრივ პარტიულ კლუბში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა არა უგვიანეს ორი კვირისა.

ფოთის კომიტეტი.

—

სტუდენტთა კრება ხუთშაბათს, ნოემბრის 7-ს ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტ. სოც.-ფედერალ ისტ სტუდენტთა კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ფედ. სტუდენტთა პარტიულ ბიუროს არჩევნები.

2) კანდიდატების დასახელება უნივერსიტეტის სტუდენტთა მომავალ გამგეობაში.

3) და სხვა მიმდინარე საკითხები.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, მათაც, რომლებიც დილით უსმენენ ლექციებს, აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

ამასთანავე ვაცხადებთ ამხანაგ სტუდენტების საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა უნივერსიტეტში შეიძლება შემდეგ ამხანაგებთან: ქეთევან კარიჭაშვილთან, ქეთევან ქავთარაძესთან, გოგოცა ჯანელიძესთან, გია აბაშიძესთან დავით მგალობლიშვილთან, პეტრე კოპაძესთან, გედეონ სვანიძესთან, ვარლამ ძიძიგურთან და ქსენია კაკაბაძესთან. ყოველი წევრი დადგენილ საწევრო გადასახადის შეტანის შემდეგ მიიღებს ბარათს.

საპარლამენტო კომისიებში

საფინანსო კომისიაში.

განხილული და პარლამენტში წარსადგენად დამზადებულია შემდეგი კანონ-პროექტები:

ხელოვნების კომისიისაგან წარმოდგენილი კანონ-პროექტი 1915 წლის ნოემბრის 22-ის კანონის შეცვლისა სათეატრო გადასახადების შესახებ. ამ კანონის პროექტის ძალით სათეატრო წარმოდგენებზე (დრამა, კომედია, ოპერა) უნდა მოიხსნას სამხედრო გადასახადი, ხოლო სხვა გასართობებზე კი დარჩეს.

—

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი: გასართობებზე დადებულ გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ.

შემოსული და განუხილველი კანონ-პროექტები

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე სააქციზო ორგანიზაციის შესახებ,

—

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის სამთო სამმართველოს დროებითი შტატებისა და 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

—

ფინანსთა მინისტრის კანონ პროექტი გადიდებულ პირდაპირი გადასახადებისა და ბაჟების მოკრეფის არსებულ კანონის მოქმედების გაგრძელებისათვის.

—

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი სახელმწიფო გადასახადების აკრეფისათვის ვადის გადიდების შესახებ.

—

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი სახაზინო პალატის გაუქმებისა და გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს დაარსების შესახებ.

—

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი გადასახადთა ინსპექტორების შტატების გამრავლებისა და ჯამაგირების მომატების შესახებ.

—

განათლების მინისტრის კანონ-პროექტი—პირველ-დაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ.

—

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი გადასახადების აკრეფის შესახებ.

მდგომარეობა აჭარაში

ნოემბრის 3-ს ბათომიდან ჩამოვიდა ქართულ საქველმოქმედო საზ. რწმუნებული ამხ. ისმ. თევზაძე და ცნობილი ასლან-ბეგ აბაშიძე.

ამხ. თევზაძის სიტყვით ოსმალები ბათომის დაცლას არ ჰფიქრობენ, მაგრამ იციან, რომ დიდხანს არ მოუხდებათ იქ ყოფნა და ყველაფერს, რის გატანაც კი შეიძლება—გააქვთ. სამაჰმადიანო საქართველოსათვის მათ, ვითომ დამოუკიდებლობის კომიტეტი ჰყავთ და აარსებენ სხვა და სხვა კომიტეტებს, რომელნიც ვითომ აჭარლების წარმომადგენელნი არიან და მთავრობასთან კონტაქტი აქვთ.

თვით ქართველ მაჰმადიანებში დიდი უკმაყოფილებაა ოსმალეთის და მოღალატე ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილებისადმი. ამ ჟამად იქ სამი მიმართულებაა: თურქული, საქართველოსი და წარმოიდგინეთ—რუსულიც კი, რომელსაც ხალხში ძლიერ ცოტა გასავალი აქვს. ისე კი ცნობა გვაქვს, რომ ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილს მიუმართავს გენ. დენიკინისათვის, მაგრამ რა პასუხი მოსულია, ჯერ არ იციან. საქართველოს მომხრეები სამართლიანად ჰფიქრობენ, რომ საქართველოში მათ ექნებათ თვითმართველობა და თავისუფლება. ყოველ შემთხვევაში მოღალატე ჯემალ-ბეგს ხალხი ემდურის, მაგრამ შიშით არის შეპყრობილი და თუ მეთაური არავინ გამოუჩნდა—ვერაფერს გაჰბედავს.

სხვათა შორის ხალხი დიდი სიმპატიით უცქერის ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილ მემედ-ბეგ აბაშიძეს და მისგან მოელის შველას.

აღსანიშნავია ერთი წვრილმანი. ყველას ახსოვს 19 ნოემბრის ეროვნულ ყრილობაზე ხოჯა ფფენდი ცივაძე, რომელმაც ააცრემლა დამსწრენი თავის სიტყვით, რომელიც რუსთველის ციტატებით იყო შეზავებული. ეხლა ეს ცივაძე საქართველოს მტრების ბანაკშია და იმასაც კი უპერს მხარს—თუ ქართველები აქ შემოვიდნენ, იარაღით შევებრძოლოთო.

ასეთია სულ მოკლედ საქმის მდგომარეობა და საჭიროა შესაფერისი მუშაობა.

ლექციები ნაძალადევში

სახალხო უნივერსიტეტის ნაძალადევის რაიონის განყოფილებაში ამ კვირაში წაიკითხავენ შემდეგ ლექციებს:

ორშაბათს, დეკანოზიშვილი, ასტრონომიაზე. და ლორთქიფანიძე, არითმეტიკაზე.

სამშაბათს. ექ. ტურიაშვილი ჯანმრთელობაზე და ქ რამიშვილი საზოგა-

დოებრივ პოლიტიკური ცხოვრება საქართველოსი მე-19 საუკუნეში.

ოთხშაბათი. ჟორჟოლიანი, ქართული მწერლობა მე-18 საუკუნეში და ილ. ნაკაშიძე ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა.

ხუთშაბათი. ხუციშვილი ფიზიკაზე და ქავთარაძე მსოფლიო ისტორიაზე.

პარასკევს. მაისურაძე ანატომია და ფიზიალოგია, და ირემაშვილი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა.

ლექციები დაიწყება საღამოს ექვსს საათზე და შეუძლიან დაესწროს ყველას უფასოდ. ამ რაიონის კულტურულ-განმანათლებელი კომისია მოუწოდებს ყველა შეგნებულ მოქალაქეთ გასწიონ აგიტაცია ლექციებზე მეტი ხალხის დასასწრებლად. ლექციები გაგრძელდება გაზაფხულამდე.

თავმჯდომ. ამხ. კ. ქუთათელაძე.

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტროში

სასამართლო უწყების მოხელეთათვის ჯამაგირების მომატება

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას სასამართლო უწყების მოხელეთა ახალი შტატები, ახალ შტატებით სასამართლოს უწყების მოხელეთა დღევანდელი ჯამაგირები დროებით გადიდებულია სიძვირისა გამო.

საპყრობილეთა მმართველობის რეორგანიზაცია.

იუსტიციის სამინისტროში მუშავდება საპყრობილეთა მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი. პროექტის შემუშავები საქმეს ხელმძღვანელობს მინისტრის ამხანაგი ერ. ივ. ჭველესიანი, რომელსაც დავალებული აქვს უახლოესი ხელმძღვანელობა იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გატარების ინსტრუქცია.

იუსტიციის სამინისტროს საიურისკონსულტო ნაწილმა შეიმუშავა დაწვრილებითი ინსტრუქცია სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად.

საგანგებო სასამართლოში.

საგანგებო სასამართლოს სხდომები დაიწყო ტფილისის სასამართლო დაწესებულებათა შენობაში.

მუშათა საბჭოს კრება

ტფ. სახალხო სახლში ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით დიდძალი ხალხის თანადასწრებით, 2 ნოემბერს, საღამოთი კრება ჰქონდა ტფილისის მუშათა საბჭოს ბ-ნ ირ. წერეთელის მოხსენების—საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის განსახილველად. ძლიერი ტაშის ცემით შეხვდა მთელი დარბაზი ბ-ნ ჟორდანიას რომელმაც კრება გახსნა საღამოს 7 საათზე და შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: საბჭოს უკანასკნელ სხდომის შემდეგ დღევანდლამდე ჩვენს ქვეყანაში კერძოდ და ჩვენს გარემემო საერთოდ ბევრი ღირსშესანიშნავი ამბები მოხდა. ჩვენის თავისუფლების მტრებმა ხალხში ჭორები გაიტანეს თითქოს მუშათა საბჭო მოკვდა და დაგვესამარებიოს. ჩვენი საბჭო არ მომკვდარა, იგი იცოცხლებს ვიდრე დემოკრატიის საქე ისე ჩინებულად არ დაუსრულებია, როგორც დაიწყო. ჩვენი საბჭო მშობელია თავისუფლებისა. ამიტომაც მართებს და ვალდებულიცაა დარაჯად ედგეს იგი თავისუფლებას თვალყურს ადევნებდეს ერთა შორის დიდს მოვლენებს და ანგარიშსაც უწევდეს მას. როგორც იცით, რუსეთის დიდს სივრცეზე მხოლოდ ჩვენ გაუძლით ძლიერს ქარტეხილს, მხოლოდ ჩვენ შევინარჩუნეთ რევოლიუციით მოპოებული თავისუფლებანი, ჩვენ დავიფარეთ დემოკრატის წმინდა დროშა და ეს ყოველივე მიტომ, რომ თავიდანვე ჩვენმა ხალხმა სწორი ხაზი აიღო და უნდა ვიაროთ კიდევაც ამ გზით სრულს გამარჯვებამდე. საბჭო უნდა იდგეს დარაჯად ამ სწორი მიმართულებისა და თვალყურს ადევნებდეს რომ აღმასრულებელი დაწესებულებანი არ გადასცდნენ და მიზანს არ აუხვიონ.

შემდეგ კრებამ მოისმინა ვრცელი მოხსენება ბ-ნ წერეთლისა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ფრთხილად.

ეს ირგვლივ რა სისინია, რა მომხდარა, ან რა ხდება?
რას ჰხარობენ მტერ-მოყვრები, რას იმედობს მათი კრება?
რომ წყვდიადი კვლავ ფრთებს გაჰშლის და ჩვენი მზე მით ჩაჰქრება?..
სტყუვდებიან ანგარიშში! გონს უბრმავებთ მძულვარება...
სტყუვდებიან: ჩვენს ასეთ ბედს ველარავინ შეესწრება!
დროთა ბრუნვის ქარტეხილმა საქართველო ჰფლითა, ჰფლითა,
მუდამ გულ-მკერდს ეხლებოდა განწირული სიაფთრითა,
მტრად უქცია ყველა ერი, მეზობლები გადაჰკიდა,
მაგრამ გმირი მკლავ-ძლიერი გაშლილ დროშას ძირს არ ჰხრიდა,
თუმცა ბოლოს სისხლ დაცლილი მიესვენა, მიიბნიდა!
დღეს მოღრუბლულ იმის ცაზე იმედის მზე გამობრწყინდა,
დაკოდილი მეომარი გამობრუნდა, აღორძინდა,
ცეცხლის ზღვაში ამოევლო, მოინათლა, გაიწმინდა!..
კვალად დასდგა ასპარეზზე ჰაბუკური სიახლითა,
ყველას ჰხიბლავს მოქმედების და მიზნების სიმაღლითა!
აწ გაისმა მის სახელი საქებური შორით შორად,
არა ერთმა გმირთ სამშობლომ მიიჩნია იგი სწორად,
გაცვდა ორგულთ სითაღლითე, ხელში შერჩათ ქორი ქორად,
ვერაფერი ჩამოაკლეს, გაძლიერდა ერთი ორად,
ვარდსა და ნეხვს თვის სიუხვეს ყველას აფენს თანასწორად!
მაშ ეს რაღა სისინია, რას ნეტარობს ორგულთ კრება?
რათ ჰგონიათ უგუნურებს, რომ მნათობი ჩვენი ჰქრება?
სულ ამაო იმედია, ხავსზე ხელის მოჰიდება..
სტყუვდებიან ანგარიშში—საქართველო არ მოკვდება!
ფრთხილად, თორემ ერის გულში რისხვის ქარი აღმოტყდება!..

ს. აბულაძე.

ორატორმა მჭევრმეტყველურად დაასურათა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა. აღნიშნა მსოფლიო ომის ის მომენტები, რამაც შედეგად იქონია მსოფლიო ომიდან ბოლგარიისა, ოსმალეთისა და ავსტრო-უნგრეთის გამოთიშვა და იძულებულჰყო იგინი დაეწყოთ მოლაპარაკება მოწინაღმდეგეებთან მშვიდობიან მორიგებაზე. შეეხო გერმანიის მდგომარეობას, იქ მომხდარ პოლიტიკურს დიდს ცვლილებას და პარლამენტარულ წესწყობილების დამყარებას, ხაზი გაუსვა ძლიერს ნიშნებს საერთაშორისო დემოკრატიის ამოძრავების დაწყებისას და მოახლოებას ყველას გამანადგურებელ ომის დამთავრებისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის ჩამოგდებისას. შეჩერდა რუსეთის მდგომარეობაზე და შემდეგ გადმოვიდა საქართველოზე.

ბ-ნმა წერეთელმა დაუღალავად საათნახევარი მეტი ილაპარაკა და სხვათა შორის სთქვა: ამხანაგებო, არა ერთხელ აღგვინიშნავს ყველა ის უმთავრესი მიზეზები, რომელთა მეოხებითაც დაირღვა რუსეთის რევოლიუციონური საერთო ფრონტი და დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ ჩვენ იძულებული გავხდით ჩვენი პოზიცია რევოლიუციით მოპოებული თავისუფლებათა შესანარჩუნებლად ბოლოს და ბოლოს საქართველოს ტერიტორიაზე გადმოგვეტანა რომ აქ გამაგრებულ საქართველოს დემოკრატიას შესძლებოდა გმირულად ამ თავისუფლების დაცვა. ჩვენ გვიკიჟინებენ და დანაშაულად გვითვლიან გერმანიასთან კავშირს და ჩვენ დასახმარებლად გერმანიის ჯარის მოწვევას, მაგრამ მათ ხომ განადგურებას გადაგვარჩინეს.

მას შემდეგ, როდესაც გერმანიის იმპერიალიზმი ძირს ეცემა და გერმანიის დემოკრატია ამყარებს პარლამენტარულს წესწყობილებას, ჩვენი კავშირი უფრო განმტკიცდება. ჩვენ არ გვაშინებს ის შესაძლებლობაც, თუნდა რომ ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა შემოსცუროს შავს ზღვაში და მოადგეს საქართველოს, რადგანაც საფრანგეთ-ინგლისი კიდევ უფრო დემოკრატიულად განწყობილნი არიან და როგორც აგენტნი სრულიად არ იუცხოვებენ და არ შეეხებიან დემოკრატიულად მოწყობილ საქართველოს რესპუბლიკას. საშიშოა კონტრ-რევოლიუციონური რუსეთი ბოლშევიკები და მათთან მალულად კავშირის მაძიებელნი ჩვენი ახლო მეზობლების ზოგიერთი მესვეურნი და შინაური ჩვენი მტერ-მოყვარენი.

ამიერკავკასიის ერნი მშვიდობიანად სადაო საკითხებზე შეთანხმებულნი უნდა წარვსდგეთ ევროპის წინაშე. ამიერკავკასიის ერთეულთა შემათანხმებელი ნაბიჯი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უკვე გადასდგა. მოწვეულია ნოემბრის 10-თვის კონფერენცია და იქ უნდა ყველა საკითხებზე შევთანხმდეთ.

ბ-ნ წერეთლის მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, ოპონენტებმა შუგაკუმა და ცნობილმა „ზნამელმა“ თარხანოვმა გაიმეორეს ათასჯერ თქმული, რომ კავკასიის ერებს იხსნის რუსეთის ორიენტაციაო.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დასასრულ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: ტფილ. მ. ჯ.-კ დ. საბჭომ განიხილა რა საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც შედეგია ევროპაში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებისა და აგრეთვე მდგომარეობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა დაადგინა: 1) მოახლოვებული დასასრული მსოფლიო ომისა მოითხოვს დემოკრატიისაგან და კერძოდ მუშათა კლასისაგან ყოველივე ძალ-ღონეთა შემოკრებას, რომ მიღწეულ იქმნეს მის ინტერესებთან შეთანხმებული საყოველთაო დემოკრატიული ზავი, ერთა შეთანხმებისა, სრულ მათ იარაღის აყრისა და სახელმწიფოთა თანასწორობის საფუძველზე, ყველა მათ შორის აღძრულ საკითხების გადაწყვეტით, 2) საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლისა გამო, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელმაც შეინარჩუნა აქამდე რუსეთის დიდი რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლება-სიკვდილ სიცოცხლის ბრძოლა მოელის ამ თავისუფლებათა მტრებისაგან და ამიტომ საქართველოს დემოკრატიამ დიდი სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს და შეაერთოს ყველა ძალები თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად, 3) საქართველოსა დ მთელ ამიერკავკასიის დემოკრატიის დიდ საშიშროებათა წყაროს წარმოადგენს კავკასიის ერთა შორის შოვინისტურ პარტიებისაგან გაზვიადებული მტრობა და ამიტომ საბჭო სიამოვნებით ეგებება საქართვ. რესპუბლიკის მთავრობის ცდას, რომელიც მიმართულია ამ მტრობის ასაშორებლად და მათ შორის მეგობრულ თანამშრომლობის განსამტკიცებლად და შეთანხმებით ყველა სადაო საკითხების გადაწყვეტის უზრუნველ საყოფელად, 4) სარგებლობენ რა იმ შემთხვევით, რომ საქართველოს რესპუბლიკის თავზე რაღაც შავი ღრუბლები გადმოეშვა. მისი მტრები სცდილობენ მისი მდგომარეობის გაუარესებას ანარქიულ გამოსვლებით, შეთქმულობებით და პროვოკაციით. ვალდებულია დემოკრატია დაჰგმოს ეს ბოროტებანი და მასალა მისცეს დემოკრატიულ მთავრობას შეუბრალებელ მათთან ბრძოლაში და 5) ყველა თავის იმედებს ერთა საურთიერთო დამოკიდებულებაში სამართლიანობის დასამყარებლად საბჭო ამყარებს ინტერნაციონალის მოღვაწეობაზე, რომელსაც მეთაურობს საერთაშორისო სოციალისტური ბიურო დასავლეთში და დემოკრატიისა და განსაკუთრებით მის სოციალისტურ ელემენტების ერთობაზე აქ—ამიერკავკასიაში.

კრება ღამის 12 საათ. დასრულდა.

სასურსათო საკითხის გარშემო

სასურსათო საკითხი რომ სერიოზული საკითხია, სახელმწიფო ცხოვრებაში, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ჩვენმა მთავრობამ სახელმწიფოს ამ დარგის მოსაწყობად მრჩევლები მოიწვია.

ჩვენმა მთავრობამ დანგრეულ რუსეთიდან მემკვიდრეობით მიიღო პურის მონოპოლიის ორგანიზაციებიც, რომელნიც საერთო რუსულ წესზე იყვნენ აგებულნი, ემსახურებოდნენ არა ხალხს, არამედ იმათ, ვინც შიგ მსახურებდნენ. ამიერკავკასიაში არსებულ სასურსათო ორგანიზაციებს დაკისრებული ჰქონდა უმთავრესად განაწილება შემოტანილ სურსათისა, ადგილობრივ ისენი სურსათს არ ამზადებდნენ და არც მის რაოდენობას იკვლევდნენ. ეს უწესოდ მოწყობილი ორგანიზაციები, რომელნიც მომეტებულ შემთხვევაში არავითარ ანგარიშს არ აწარმოებდნენ, ზედმეტ ბარგად შეიქმნენ მას შემდეგ რაც რუსეთის გზა შეიკრა და იქიდან სურსათის შემოტანა შესწყდა. ამ ორგანიზაციების გარშემო საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, რასაც თანდათან ფარდა ეხდება და „ერთობაც“ ამ ბოლო დროს სამართლიანად მოითხოვს მათს სამუდამოდ გაუქმებას. მხოლოდ მარტო მათი გაუქმებით კი ვერ გადასწყდება ჩვენში სურსათის საკითხი, რომელიც პირველ რიგში სდგას—ამ მოსავლიანობაში ხალხი სიძვირის გამო სიმშილს განიცდის. როგორც უნდა გადასწყდეს ჩვენში პურის საკითხი, შემოღებული იქნება სრული თავისუფლება ვაჭრობისა თუ ისევ აღადგენენ მონოპოლიას, ეს ორგანიზაციები უეჭველად უნდა გაუქმდნენ, როგორც ნდობა დაკარგული და სახელ გატეხილი ხალხში,

მიუხედავაად იმისა, რომ საზოგადოებაში მათ შესახებ მხოლოდ უარყოფითი შეხედულებაა და საპჭომაც გადასწყვიტა მათი გაუქმება, ესენი გამოცვლილ სახელწოდებით ისევ განაგრძობენ მუშაობას და თავიანთ სახელს ახალ-ახალ გვირგვინს უწნავენ.

შევეხები მხოლოდ მათს მოქმედებას თელავის მაზრაში, დარწმუნებული ვარ, რომ იგი ტიპიური იქნება მთელ საქართველოსთვის.

როცა მთავრობა პურის თავისუფალ ვაჭრობას აცხადებდა, მას უეჭველია განზრახვა ჰქონდა კონკურენციის შექმნით პურის ფასი დაეწია ბაზარზე. რამდენად მართალი და სწორი გამოდგა ეს მოსაზრება, ამას ეხლა არ შევეხებით, აღვნიშნავთ, მხოლოდ, თუ როგორ შეუწყეს ამას ხელი სასურსათო ორგანიზაციებმა, ყოფილმა კომიტეტებმა. თავიანთ მამამთავრის, საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარის ლოცვა-კურთხევით დ რჩევა დარიგებით შეუდგნენ ესენი „ენერგიულ“ მუშაობას. მათ დევიზად თაისახეს, რომ კერძო ინიციატივა, კერძო ვაჭრობა ნაყოფიერია კოოპერატიულზე და შეუდგნენ ამის დამტკიცებას თავიანთ უნარიან მოღვაწეობით. როგორ ამტკიცებენ ამას? შემდეგნაირად: მოიწვიეს ყველა ჩარჩი-მოვაჭრე, ყველა თავისუფალი ახალგაზდები, რომელთაც გული ერჩით სპეკულიაციისთვის, დაიქირავეს ყველა სოფლის მასწავლებლები და მღვდელ-ტერტერები, რომელთაც ამ კრიტიკულ მომენტში ეს ზედმეტი ლუკმა ცის მანანად მიიღეს; დაუნიშნეს მათ თვიური ჯამაგირები მორიგებისამებრ, ზოგს ოცდაათი, ზოგს სამოცი, ამას გარდა 5% ან 10%-დე ნაყიდ პურში და მისცეს საქონელი პურზე გადასაცვლელად. აი ეს ამოდენა ხროვა ჩარჩებისა, დაინტერესებულ პროცენტებით გაუშვეს ბაზარზე. შეგიძლიანთ გაითვალისწინოთ, წარმოიდგინოთ რა ხდება თელავის მაზრაში, რა აჟიოტაჟია? ეს კუდიანების ქორწილია ჰიაკოკონობის ღამეს როკაპის მთაზე. დაწრწიან ეს აგენტები ანაფორ-სერთუკ ყარაჩოხელები, დააქვთ ურმით თუ ზურგით, მიცემული საქონელი და ცდილობენ ასახელონ თავიანთ გამომგზავნელები რომ პროცენტებში არ იზარალონ, რასაკვირველია, ცდილობენ ხელსაყრელ ფასში იყიდონ და „ხაზეინს“ რიგიანად უანგარიშონ. რამდენ გზით გამორჩებიან ეს აგენტები, ეს მკითხველმა წარმოიდგინოს, რომელმაც იცის საქონელს რა ფასი აქვს ბაზარზე და ეს კერძო ინიციატივით აღჭურვილი პირიც ხომ ეცლება ინიციატივა გამოიჩინოს, ეხლა ვინ არა რჩება. სახელმწიფოს, რომ ის არ გამორჩეს. როგორ გგონია მკითხველო (და ან რა გგონია უნდა როცა ყოველდღიური მწარე ცხოვრებით იცი), ამ აგენტებმა შესძლეს პურის დაიაფება ან და მათ ინტერესებს შეეფერება პურის ფასის დაიაფება?! პასუხად აი რას გეტყვით—თელავში ქერის ფქვილი პირველ კალოობას ღირდა 50 მანეთი, დღეს ღირს—80 მან., პურისა—120 მ.—140 მანეთამდე, წინეთ ღირდა 70 მანეთი. აი შედეგი მათი ნაყოფიერ და უნარიან მუშაობისა. განა რომ შეუძლიანთ იამაყონ!

თელავის სასურსათო ორგანიზაცია არა კმაყოფილდება ამ აგენტებით, მას უეჭველად გადაწყვეტილი აქვს დაამტკიცოს, რომ კერძო ინიციატივა სჯობია რაღაცა კოოპერატიულ მუშაობას და კოოპერატიულ დაწესებულებებშიაც შეიჭრა, შესძლო გამგეობის ზოგიერთი წევრი თავის საქმეზე აემუშავებინა. უეჭველია, რაც მეტი აგენტი ეყოლებათ, მით მეტს პურს შეიძენენ, მეტს ფულს გადაატრიალებენ, აგენტსაც მეტი პროცენტი შეხვდება და თვითონაც თუ აგენტი იღებს პროცენტს, „ხაზეინიც“ აიღებს რამეს. რას დაგიდევენ კოოპერატივების დაღუპვას, აბა რის მაქნისები არიან ისენი? ამ შეხედულებას, მგონი, მთავრობაც იზიარებს. მაშ რით აიხსნება ასეთი ერთგვარი განწყობილება ამ ორგანიზაციებისადმი, რომელთაც არავითარი კონტროლი არა აქვთ. ალბად ხელს უწყობენ ჩვენში ბურჟუაზიულ კლასის შექმნას, რის უქონლობაც ზოგიერთის ხშირ-ხშირი განმეორებით ასეთ ანორმალობას ჰქმნის სახელმწიფოში.

ასეა თუ ისე, მხოლოდ ერთია ცხადი—ამ გზით მთავრობამ ვერ შესძლო პურის ფასის დაწევა, პირიქით ხელოვნურ სპეკულაციის შექმნით მისი ფასები უფრო ასწიეს. ამ სასურსათო კომიტეტების სპეკულიანტებს დაუმატეთ საინტენდანტო და სხვა და სხვა ტფილისის ორგანიზაციის წარმომადგენლების მოიჯარადრე-სპეკულიანტები და თქვენ მიიღებთ სრულ სურათს პურის ვაჭრობისას. თუ ერთი აძლევს ფუთში 90 მ., მეორე აძლევს—100 მ. და ასე შემოტრიალდა ის კონკურენცია, რომელსაც ტფილისის ბაზარზე პური უნდა დაეიაფებინა. ორი გზაა პურის ფასების მოსაგვარებლად ან დაწყებული საქმე პურის თავისუფალ ვაჭრობისა მთავრობამ სრულიად უნდა განახორციელოს სასურსათო კომიტეტების სამუდამოდ მოსპობით, როგორც სპეკულიანტთა ბუდისა ან და შემოღებულ იქმნას მონოპოლია პურისა, რისთვისაც უნდა მოსპობილ იქმნენ აწ არსებულ სასურსათო კომიტეტები თავიანთ რწმუნებულებით და ამ საქმის მოწყობა გადაეცეს ახლად დაარსებულ ერობებს კოოპერატივებთან თანამშრომლობით.

ხომ ეს ერთი თვეა უცდით ნახევრად თავისუფალ ვაჭრობას პურისას, ვცადოთ სრული თავისუფლება—მოვიშოროთ ეს შუამავალი კომიტეტები, რომლის აგენტები პურის ძვირებაში დაინტერესებულნი არიან, ვიდრე დაიაფებაში. ტფილისს თვით ვაჭარი, თვითონ მეურნე მოაწვდის და ქალაქის მცხოვრებს უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე ასე მახინაციებით შეძენილი.

ლ. კახელი.

სამხედრო სასამართლოში

ჩვენი სამხედრო სასამართლო უკვე შეუდგა ჯარიდან გაქცეულ ახალგაზდების საქმის განხილვას. სამხედრო სასამართლო ნაფიც მსაჯულთაგან შესდგება. სულ რვა კაცია მსაჯულად: ოთხი ჯარისკაცი და ოთხი ოფიცერი. მათ მორიგეობით საქმეების განხილვის დროს თავმჯდომარეობს გენერალ მაიორი რიინაშვილი, პოდპოლკ. ესტატე მაჩაბელი და ბ-ნი წივწივაძე.

ოქტომბრის 25 ს სამხედრო სასამართლოს ნაფიც მსაჯულებმა განიხილეს სიღნაღის მაზრის სოფელ ახაშენისა და სხვა სოფლის მცხოვრებლების საქმე.

პასუხისგებაში მიცემულნი იყვნენ ნიკა ყოჩიშვილი, აბრამ სააკაშვილი, ლევან გოდელაშვილი, გიორგი მინდიაშვილი, ბაგრატ ოგანოვი, დავით რიბაშვილი, ლუკა ლაცაბიძე, ალექსი მარკოზაშვილი, რომან ბეგიაშვილი, ლევან ნაცვლიშვილი, ლევან ხუნჯუაშვილი, გიორგი ნანიშვილი, რომან გოდელაშვილი და რაჟდენ დარბაისელი.

მე-5 პოლკიდან ამ ყმაწვილებს მიუღიათ ტანსაცმელი, გამოწყობილან და ერთ შერჩეულ დროს მიუტოვებიათ სამსახური და თავიანთ სოფლებში წასულან. პოლკის უფროსის განკარგულებით ადმინისტრაციამ ბევრი მათგანი დააპატიმრა, ტფილისის საგუბერნიო ციხეში გაგზავნა და სამხედრო სასამართლოს პასუხის გებაში მისცა.

საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ზოგი ისე წასულა, რომ სრულიად თავიდან აეცილებინა სამხედრო ბეგრის მოხდა და ზოგი დროებით და ისევ თავის ნებით დაბრუნებულა. დანაშაულში ყველანი გამოტყდნენ. ნაფიც მსაჯულებმა კარგა ხანს თათბირის შემდეგ დამნაშავედ იცნეს სახელმწიფო ქონების მითვისებისა და თავის ნებით გაქცევაში სამხედრო სამსახურის თავიდან აშორების მიზნით სოფ. ახაშენის მცხოვრებნი ნიკა ყოჩიშვილი, აბრამ სააკაშვილი, ლევან გოდელაშვილი, გიორგი მინდიაშვილი, ბაგრატ ოგანოვი და დავით

რიბაშვილი და გადაუწყვიტა: პირადად თუ მდგომარეობით მოპოებულ ზოგი ერთ უფლებათა ახდა და პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში თითოს წელიწადნახევრით დაპატიმრება; დანარჩენი ბრალდებულნი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი დროებით პოლკიდან თავის ნებით გაპარვაში და გადაეწყვიტათ: რაჟდენ დარბაისელს და ლუკა ლაცაბიძეს რვა თვის ციხე, ლევან ხუნჯუაშვილს, გიორგი ნონიაშვილს, ლევან ნაცვლიშვილს და რომან ბეგიაშვილს თითოს ოთხ ოთხი თვის ციხე, ალექსი მარკოზაშვილს, რომელსაც ჯარისკაცების აღიზიანება ბრალდებოდა ერთი თვით დაპატიმრება და რომან გოდელაშვილსაც ერთი თვით ციხეში ჯდომა.

—

მე-2 საარტილერიო ბრიგადის მეორე ბატარეის შტაბს კაპიტანს **სამსონ წერეთელს** გადაცემული ჰქონია სახელმწიფო ფულები სულ 26,000 მანეთი სახელმწიფო საჭიროებისათვის მოსახმარებლად. ეს ფული ბანქოში წაუგია წერეთელს. ოქტომბრის 22-ს ნაფიცმა მსაჯულებმა გაარჩიეს მისი საქმე, დამნაშავედ იცნეს და გადაუწყვიტეს 3 თვის საპყრობილე და სახელმწიფო გაფლანგულ ფულის მის ქონებიდან კაპეიკის უკლებლივ გადახდევინება.

—

ამავე ბრიგადის სამხედრო მოხელეს ივანე მარკოზაშვილს პოლკოვნიკ ქარუმიძისაგან მიუღია 15,000 მან. ჯამაგირების დასარიგებლად. მარკოზაშვილს ჩაგელაშვილის სახელზე ყალბი პასპორტი უშოვნია, 15,000 მან. მიუთვისებია და სადღაც გადამალულა.

სამხედრო სასამართლომ ოქტომბრის 22-ს გაარჩია ეს საქმე, დამნაშავედ იცნო მარკოზაშვილი აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში და განსაკუთრებულ ღირსებათა ჩამორთმევით მიუსაჯა ორის წლითა და ნახევრით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტებს

ამხანაგებო! ძველი მართვა გამგეობის დროსაც ჩვენს საერთო ყრილობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და თქვენ არა ერთხელ გაგიგზავნიათ ხოლმე თქვენი წარმომადგენელი სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა ყრილობაზე. დღეს კი, როდესაც ყველაფერი ძველი დაინგრა და დაგვიდგა სანეტარო დრო, საშუალება გვეძლევა ერთი ხალხის გაჯანსაღების დარგთაგანი, ფარმაცია, გარდავქმნათ ისე, რომ ის მართლაც ემსახურებოდეს ფართო მასის ინტერესებს. დღეს ვიმეორებთ კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლევა საერთო აზრს. ესეთი საერთო აზრის გაგება ყოველივე იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც აღარ ითმენენ გადადებას. შესაძლოა მხოლოდ საერთო ყრილობაზე ყველა გრძნობს ნამდვილ საჭიროებას, რომ ჩვენი პროფესია ძირიანად უნდა გარდიქმნეს, როგორც მეცნიერულის, ისე ადმინისტრატიულის მხრით.

ამისათვის ტფილისის აფთიაქებში მოსამსახურე ფარმაცევტთა კავშირის საერთო კრებამ ოქტომბრის 16-ს თავისი გამგეობის ინიციატივით გადასწყვიტა, მოიწვიოს საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა. არჩეულ იქმნა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ვინაიდან საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებებში უკვე შეუდგენ ამ დარგის გარდაქმნასაც, ამისთვის ყრილობის დაყოვნება შეუძლებელი შეიქნა და გადაწყვეტილია ყრილობა გაიხსნას დეკემბრის პირველს, დღით კვირას 12 საათზე.

ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ: როვიზორები, აფთიაქის თანაშემწეები და აფთიაქის მოწაფეები—ყველა ესენი მოსამსახურენი, როგორც კერძო აფთიაქებში, ისე საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში. არა მოსამსახურე ფარმაცევტებს (მოიჯარადრეებს და სხ.) უფლება ეძლევათ მოხსენებით გამოვიდნენ ყრილობაზე, მხოლოდ ეს მოხსენება წინდაწინ განხილულ უნდა იქმნეს საორგანიზაციო ბიუროს მიერ.

ბიუროს გადაწყვეტილებით ყრილობაზე სახმარებელი ენა არის სახელმწიფო ენა, მასთან ქართველი მომხსენებლები მოხსენებას ადგენენ უსათუოდ ქართულად, არა ქართველებს უფლება ეძლევათ მოხსენება წარმოადგინონ რუსულად.

წარმომადგენლებისათვის ნორმა შემდეგია: ყოველი ათი მოსამსახურე ფარმაცევტი ყრილობაზე აგზავნის ერთ წარმომადგენელს. სადაც მხოლოდ რვა მოსამსახურე ფარმაცევტია, იქიდანაც იგზავნება ერთი წარმომადგენელი, თხუთმეტზე ზევით ოცამდის კი—ორი წარმომადგენელი. სოფლები და დაბები ერთდებიან და აგზავნიან თავიანთ წარმომადგენელს ზემო აღნიშნულ წესით.

ყრილობის მოსაწვევ ხარჯების დასაფარავად გადაწყვეტილია გადახდეს ერთდროულად: პროვიზორებს ოცი მანეთი, თანაშემწეებს ხუთმეტი მანეთი და მოწაფეებს ათი მანეთი, როგორც ტფილისში, აგრეთვე პროვინციაში მყოფ ამხანაგებს.

საორგანიზაციო ბიურო სთხოვს ამხანაგებს, ამ ფულის შეგროვება იკისრონ ორგანიზაციებმა და დაუყოვნებლივ გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ტფილისი, ქალაქის აფთიაქი, საორგანიზაციო ბიუროს. ხაზინადარი თევდორე ქარცივაძეს.

ყრილობაზე გაირჩევა შემდეგი უმთავრესი კითხვები:

1. რეორგანიზაცია საფარმაცევტო უწყებისა.
2. აფთიაქების მუნიციპალიზაცია, თუ ნაციონალიზაცია.
3. ფარმაცევტთა საერთო და სპეციალურ განათლების შესახებ.
4. ქიმიკო-ფარმაცევტიული მრეწველობის მოწყობა საქართველოს რესპუბლიკაში.
5. შექმნა ერთი ხელმძღვანელი ცენტრისა პროფესიონალური თვალსაზრისით:
    ა) როგორ უნდა აშენდეს მუშა ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირები ადგილობრივ და ცენტრში.
    ბ) კოლექტიური ხელშეკრულობა.
    გ) ნორმალური შრომის პირობები.
    დ) უმუშევართა საკითხი.
    ე) შრომის ბირჟის ინსტრუქცია.
6. სახელმწიფო დაზღვევა.
7) პროფესიონალური პრესა.

ყრილობის საორგანიზაციო ბიურო გაცნობებთ რა თქვენ ამხანაგებს ამ ფრიად საყურადღებო დადგენილებებს, გთხოვთ შეუდგეთ ეხლავე ყრილობისათვის სამზადისს, მოახდინოთ კრებები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომ ყოველივე ყრილობაზე დასასმელი კითხვები უწინარეს ყოვლისა იყვეს ადგილობრივ გაშუქებული.

საორგანიზაციო ბიურო, როგორც ტფილისის, აგრეთვე პროვინციებში მყოფ ამხანაგებს მიაწოდებს ყოველივე ცნობებს და დადგენილებებს გაზეთების საშუალებით და წერილების დაგზავნით.

ბიუროს მისამართი: ქ. ტფილისი, ქალაქის აფთიაქი, საორგანიზაციო ბიუროს.

საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობის მომწვევი **საორგანიზაციო ბიურო**.

ტ.-ტ. მოსამსახურეთა პირველი ყრილობა.

(გაგრძელება)

გაერთენების შემდეგ ყრილობა ეხება ადმინისტრაციის მოქმედებას. ორატორები ეხებიან ბოროტმომქმედ მოხელეებს (სიმონიანცს, ხოხიაშვილს, პელიძეს და სხვებს). კონფერენციამ შემდეგ რეზოლუცია გამოიტანა: „მოვისმინეთ რა ახალი ადმინისტრაციის მოქმედებანი, საიდანაც სჩანს, რომ ბევრმა მათგანმა ვერ გაამართლა დემოკრ. დანიშნულება მათ მიერ ითელება ამხანაგების უფლებები და ინტერესები, კონფერენციამ დაადგინა: ეხლავე მიეცეთ წინადადება ყველა ზემო მოხსენებულ პირთ პირნათლად შეასრულონ თავისი დანიშნულება თანამოსამსახურეთა წინაშე და დაიცან ყრილობის დეკლარაციის მერვე მუხლი; პირადად ოლქის უფროს—რათა მან ერთად იაროს მთავარ გამგეობასთან და გვერდი არ აუხვიოს მის დადგენილებებს. აგრეთვე კანტორების უფროსებს ევალებათ ანგარიში გაუწიონ რაიონების გამგეობებს; წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობას ევალება აწარმოოს მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

შემდეგ ყრილობა ეხება ხარისხებად დაყოფას, ჯამაგირების მომატებას და შტატების შემოკლების საკითხებს. ერთხმად დადგენილ იქნა გაუქმდეს ხარისხები და მათ მაგიერ შემოღებულ იქნას კატეგორიებად დაყოფა.

კონფერენციამ შეიმუშავა რიგი, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს შტატების შემცირება და მოხელეთა დათხოვნა.

სამურზაყანოსაკენ

აი დავასრულეთ მუშაობა სამეგრელოში და ახლა სამურზაყანოსაკენ მივემგზავრებით, იმ სამურზაყანოსკენ, რომელსაც ქართველი საზოგადოება მაინც და მაინც აგრე რიგად არ იცნობს და არც იცის, ვინ ცხოვრობს იქ და რა ფორმებში გამოიხატა ამ მივიწყებულ კუთხეში ეგრედ წოდებული ბოლშევიკური მოძრაობა.

ჯარის ნაწილები უკვე წასულნი არიან სამეგრელოდან სამურზაყანოსაკენ. ვინც დავრჩით, ისინიც ხვალ დავიძვრებით ზუგდიდიდან.

საუკეთესო მოგონებანი მრჩება ზუგდიდის ცხოვრებიდან, რომელსაც აგერ სამი კვირაა ვაკვირდები და ვეცნობი. სასიამოვნოა, რომ ზუგდიდს მართლაც ჰყავს მომზადებული ხალხი, რომელიც საზოგადო საქმეებს ერთგულად უძღვება. თუ ჩვენის სამშობლოს რომელიმე კუთხეში კეთდება რაიმე კარგი საქმე ზუგდიდიც არ ჩამოუვარდება ასეთს კუთხეებს. მართალია ეგრედ წოდებულ ბოლშევიკურ მოძრაობას რამდენიმე თვით თითქმის სულ შეუჩერებია აქ ყოველ გვარი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც აგრე რიგად არის საჭირო ჩვენის მოუწყობელ ცხოვრებისათვის, მაგრამ ახლა, როდესაც შესაძლებლობა დაიბადა, ყველა დარგში გაცხოველდა შესაფერი მუშაობა. ქალაქს უკვე აღარ ეტყობა უპატრონობა, რომელიც ბოლშევიკების მეფობის დროს ემჩნეოდა. გაჩაღებულია საქალაქო და საერობო მუშაობა და ყველას ხალისი და საქმისადმი სიყვარული ემჩნევა.

სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი აღვნიშნო, რომ აქაურს საზოგადოებრივს საქმეებში მეტად თვალსაჩინო და საპატიო როლს ასრულებენ ჩვენი პარტიული ამხანაგები—სოციალისტ-ფედერალისტები, რომელნიც მეტად მნიშვნელოვანს ძალას წარმოადგენენ როგორც თავის მრავალ-რიცხოვანობით, ისე პირადის ღირსებით და მომზადებით. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელი აქაური ინტელიგენცია ჩვენის პარტიის ხალხია, რომელთაც ერთის მხრით მაღლა და მტკიცედ უჭირავთ პარტიული დროშა და მეორეს მხრით ფხიზელ დარაჯად უდგანან ყველა იმ საზოგადო საქმეს, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისთვის.

მე მრწამს, მტკიცედ მწამს, რომ დღეს ჩამორჩენილი, მაგრამ ნიჭიერი და სიცოცხლით სავსე სამეგრელო ძალიან ჩქარა მოაწყობს თავის საზოგადოებრივს ცხოვრებას და არა ერთსა და ორს საუკეთესო შვილს აღზრდის საქართველოს მოწინავე რაზმების შესავსებად. სამეგრელოს დღეს სწყურია მშვიდობიანი მოქალაქური ცხოვრება და იგი დაიკმაყოფილებს კიდეც თავის ამ უძლეველ სურვილს.

მრწამს ისიც შეურყევლად, რომ ჩვენი აქაური პარტიული ამხანაგები მეტად ლამაზ და შინაარსიან ფურცელს ჩააკერებენ სამეგრელოს ისტორიაში და მუდამ კეთილ მოსაგონარნი იქნებიან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მომავალ შვილებისათვის.

დღეს, სექტემბრის 28-ს, სოც.-ფედერალისტთა ადგილობრივი რაზმი, რომელმაც ზუგდიდი განადგურებას გადაარჩინა, ბანკეტს უმართავს თავიანთს უფროსს ამხანაგს, ბათომის პარტიზანულ პოლკის უფროსს გენერალ ი. გედევანიშვილს. ბანკეტზე ჩვეულებრივ ქართულ ლხინის გარდა იმართება შინაური საუბარი დღევანდელს სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვის შესახებ. ბანკეტის შემდეგ ყველა მონაწილე ქართულ წარმოდგენას ესწრება, რომელიც იმართება საქველმოქმედო მიზნით. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ორი ჩვენი პარტიზანიც.

ამ ღამით ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ჩვენის პოლკის უმწყობრო ასეულის პარტიზანმა ვანო კოშორიძემ თავისი ამხანაგი ვასო სულაძე მოკლა რაღაც პირადის ინტერესით. მკვლელს სამხედრო-საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა, მაგრამ სასჯელი ხუთის წლის კატორღით შეეცვალა.

დახვრეტა აგრეთვე კატორღით შეეცვალათ ბოლშევიკების ბელადებს ქაჯაიას და ოჩიგავას, თანახმად სენაკის მაზრის საერობო ყრილობის შუამდგომლობისა.

რ. ბ—ძე.

დღეს

სახელმწიფო თეატრი — **ევგენი ონეგინი**.

დრამა ტარტო—ოსენნია სკრიპკა.

ლადია არგონავტოვ—მე 16 ცუკლის პროგრამა-ოპერეტები, მუსიკა.

ახალი კლუბი—საღამო შვეიცარიელთა ეროვნულ საზოგადოების სასარგებლოდ.

კონსერვატორია—კონცერტი ლედნიკისა და რეშიმოვისა.

საარტისტო საზოგადოება—საოჯახო საღამო—მხატვრული მინიატურები.

თეატრი მინიატური—მხიარულ ფარსის საღამო.

ერიციანის თეატრი—ოპერეტები, რომანსები, მოთხრობები.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ოქტომბრის 25-ს საღამოს 7 საათზე ჩემს წიგნის მაღაზიაში შემოვიდა ერთი ქართველი კაცი, იყიდა ქართული წიგნი და იქვე დარჩენოდა, საფულე ფულებით.

სახელი და გვარი მისი არ ვიცი, თუმცა სახეზე კი ვიცნობ.

რადგანაც აქამდე არ მოიკითხა, ამისათვის ვაცხადებ გაზეთებში და ვსთხოვ მობრძანდეს და მიიღოს თავისი კუთვნილი საფულე და ფულები.

პატივისცემით **ხოხიკო მერკვილაძე.**

კ. მ. ვსთხოვ ყველა ქართულ გაზეთების რედაქციას გადაბეჭდონ ეს წერილი.

ხ. მ.

ჩვენი ფოსტა

ხარაგოული. ჩაფიქრებულს. თქვენი წერილი კორესპოდენციად უზომოდ გრძელია. გთხოვთ პატარ პატარა წერილები გამოგვიგზავნოთ.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისასა ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი", ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი მ. ი. ზურაშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილ. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვს" პირდაპირ № 34. 301

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმ არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი ს. ბ. შიუკლ.-სახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგბით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 სამ. საათამდე. მიხაილოვის პრ. ხახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი დიმიტრი იოსების ძე მორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ქრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბ ტელ. 104. 2040

ექიმი ნიკოლოზ მახარაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სხეულის და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი მ. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების ჭლექი, გულის და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. აქვარის აუდიტორიის ახლო. 2105

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. დემენშტეინისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭემისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2028

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. ბ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსეალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1840

თვალის სამკურნალო მუდმივი ხელო. ლით ექიმ დონხიძისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამოლის კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 62

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალდაშიძის

მომსვლელ ავადმყოფთ თვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
შ. მ. ტუმანიძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ვრლის) 11—12 ს.
ი. ა. დოზარეევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმნაძე—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ხ. გ. ჯაფარიძე—ხახაშვილ ავადმყოფობანი 6—7 ს.
ო. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, გუზარხისის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 3178

ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. ბ. ავახართვა: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. აბელიანცი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს. გ. აბელიანცი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.